ოქმი№7

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2026 წლის 27 მაისს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:10 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები - ირაკლი კალანდარიშვილი, ლევანი უჩანეიშვილი, ინგა ქარდავა, ზაზა ნაჭყებია, ელგუჯა კვაშილავა, ბადრი ხურცია, მიხეილ ნადარაია, სოფიკო კალანდია.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირები - სოსო მორგოშია, თეონა ბაქრაძე; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა გვიჩია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

წარმოდგენილ დღის წესრიგს ეყარა კენჭი (მომხრე - 8; წინააღმდეგი - 0), სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა შეუდგა მუშაობას წარმოდგენილი დღის წესრიგის მიხედვით.

მოისმინეს: 1. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შემსრულებელმა სოსო მორგოშიამ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დადგენილების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე: ირაკლი კალანდარიშვილი